



“ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის” წარმოებაში არსებული საქმე ნომინირებულია ჯილდოზე “Gender Justice Uncovered Award”

გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 13 აპრილი

“ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის” წარმოებაში არსებული პირველი საქმე ოჯახში ძალადობის შესახებ ნომინირებულია ორგანიზაცია “[Women’s Link Worldwide](#)”-ის მიერ დაწესებულ ჯილდოზე “[Gender Justice Uncovered Award](#)”, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაში შეტანილი პოტენციური წვლილის გამო. აღნიშნული საქმე აღძრული იქნა გაეროს კომიტეტში¹, რომელსაც ევალება ქალთა უფლებების მონიტორინგი. საქმეში მიღებულ უპრენცედენტო გადაწყვეტილებაში კომიტეტი ქართულ მხარეს მოუწოდებს არა მხოლოდ დაზარალებულებისათვის კომპენსაციის გადახდისკენ, არამედ ფართომასშტაბიანი რეფორმების დაწყებისკენ, ქალთა წინააღმდეგ ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარების მიზნით. საქმეში დაზარალებულების ინტერესებს წარმოადგენდნენ [“ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი”](#) (EHRAC) [მიდლსექსის უნივერსიტეტიდან](#) და ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაცია [“კონსტიტუციის 42-ე მუხლი”](#).²

ოჯახში ძალადობა ღრმად ფესვგადგმული საზოგადოებრივი პრობლემაა საქართველოში და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში. საქმე [“X და Y საქართველოს წინააღმდეგ”](#) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხილული პირველი საჩივარია, რომელიც შეეხება ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას დედა-შვილის წინააღმდეგ. გაეროს კომიტეტმა საქმეში დაადგინა საქართველოს მიერ მომჩივნების უფლებების დარღვევა, ვინაიდან პოლიცია და პროკურატურა წლების მანძილზე უარს აცხადებდნენ რეაგირება მოეხდინათ დაზარალებულთა შეტყობინებებზე მეუღლისა და მამის მიერ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შესახებ. აღნიშნული მიდგომა იშვიათ გამონაკლისს არ წარმოადგენს. კერძოდ, როდესაც ქალი ოჯახში ძალადობის შესახებ პოლიციას ატყობინებს, ხშირად პოლიცია საჭირო ქმედებებს საერთოდ არ ახორციელებს ან ახდენს მცირე რეაგირებას, ისიც დაგვიანებით. საქართველოში ქალთა უფლებების აქტივისტებისა და არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბოლო წლებში მომხდარ ქალთა გახმაურებულ მკვლევარობებთან დაკავშირებით გამართული პროტესტების

¹ გაეროს კომიტეტი ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ (CEDAW კომიტეტი)

² საქმე [“X და Y საქართველოს წინააღმდეგ](#) თავდაპირველად წარადგინა ორგანიზაციამ [INTERIGHTS](#), რომელიც მომჩივნებს წარმოადგენდა 2014 წლის მაისში ორგანიზაციის დახურვამდე.



შემდეგ, საქართველოს მთავრობამ დადო პირობა, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტული საკითხი იქნება. აღსანიშნავია, რომ მთავრობამ მოახდინა კონკრეტულად ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის ინიცირება. გაეროს კომიტეტმა ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს არსებული საკანონმდებლო ჩარჩოსა და მისი პრაქტიკაში გამოყენების განმტკიცებისკენ მოუწოდა და მსხვერპლთათვის ადექვატური სერვისების უზრუნველყოფისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების გააქტიურების რეკომენდაციით მიმართა.

ჯილდო, სახელწოდებით “The Gender Justice Uncovered” განკუთვნილია სამართლებრივი პროცესის კონტექსტში მოსამართლეების, ადამიანის უფლებათა კომიტეტების წევრების, თავშესაფრის ოფისების წარმომადგენლების, პროკურორებისა თუ ომბუცმენების იმ გადაწყვეტილებებისა თუ განცხადებებისათვის, რომელთაც გენდერულ თანასწორობაზე პოზიტიური ან ნეგატიური გავლენა მოახდინეს, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების, გენდერული ძალადობისა და გენდერული დისკრიმინაციის კუთხით. სპეციალური ჯილდო აგრეთვე გადაეცემა გადაწყვეტილებებს, რომელიც საჯარო ხმის მიცემის პროცესში ყველაზე მეტ ხმას დაიმსახურებს. [ხმის მიცემის პერიოდი იწყება 2 მაისს და 31 მაისამდე გასტანს. ნომინირებული საქმეების სასარგებლოდ ხმის მიცემის პროცედურასთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებთ.](#)

ტეგები

- 2016
- საქართველო
- იმპლემენტაცია
- დისკრიმინაციის აკრძალვა
- ცნობიერების ამაღლება
- ქალთა უფლებები